ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება:**გ-41. 41232412**

თარიღი:**29/08/2023**

საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე

ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯორჯაძის ქ. №3-ში, მოქ. მოქალაქე თეიმურაზ მალანიას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს. კ. 44.01.31.460) ღია ავტოსადგომის ადგილას, საგზაო მოძრაობის მოწესრიგების უზრუნველსაყოფად აუცილებლობას წარმოადგენს დამატებით საგზაო ნიშნის დამონტაჟება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „კ“ პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

1. ქ. სენაკში, ჯორჯაძის ქ. №3-ში, მოქ. მოქალაქე თეიმურაზ მალანიას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს. კ. 44.01.31.460) არსებულ ღია ავტოსადგომის მიმდებარედ, გზის მარცხენა მხარეს, დამატებით განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშანი 3.28 „დგომა აკრძალულია“ და მასთან ერთად - დამატებითი ნიშანი (დაფა) 8.2.2 (მოქმედების ზონა 12 მეტრი).

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას; შ.ს.ს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარ სამმართველოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ.№243 243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16 ელ-ფოსტა: sakrebulo.senaki@gmail.com ვებ: www.senaki-sakrebulo.gov.ge